



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



10.03.2014

№ 9

სარჩევი

საქართველო.....	3
შესაძლოა, ხუდონჰესის საკითხზე სამთავრობო კომისია შეიქმნას	3
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერგოხიდის მეშვეობით ენერჯის გადაცემა 2014 წელს დაიწყება	5
რეგიონი	6
აზერბაიჯანში 10 წლის განმავლობაში 17 ელ.სადგური შევიდა ექსპლუატაციაში.....	6
თურქეთსა და ირანს შორის ბუნებრივი აირის ფასზე სასამართლო 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდება	7
Petrovietnam-ი აზერბაიჯანისგან 3.5 მლრდ. ბარელ ნავთობს შეიძენს.....	8
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები.....	9
რუსეთი ნორვეგიასთან ახალ გადამცემ ხაზს აშენებს	9
რუსეთი უკრაინას ბუნებრივ აირზე დაწესებულ შეღავათებს გაუუქმებს.....	10
„ყაზმუნაიგაზის“ ნავთობის რეზერვები 800 მლნ. ტონას აჭარბებს.....	11
ევროკავშირი	12
Gazprom-ი ევროპას გაზის მიწოდების შეწყვეტით ემუქრება	12
Continental Wind Partners-ი სერბეთში ქარის სადგურის მშენებლობას იწყებს.....	13
ლიტვის დამოუკიდებელ ენერგო მიმწოდებლებს მოგება უმცირდებათ	14
მსოფლიო.....	15
Gazprom-ს უკრაინასა და ევროპაში ამერიკული გაზით ჩაანაცვლებენ	15
ენერგეტიკის დაფინანსების წყაროები.....	17
ანალიტიკა	19
შეძლებს აშშ მსოფლიოს ენერგეტიკულ მართვას?.....	19

შესაძლოა, ხუდონჰესის საკითხზე სამთავრობო კომისია შეიქმნას

ხუდონჰესის მშენებლობის საკითხზე, შესაძლოა, სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეკონომიკის სფეროს ექსპერტთა ნაწილის მიმართვას გაითვალისწინებს.

საუბარია ექსპერტთა ოთხეულის, ლევან კალანდაძის, ირაკლი ლექვინაძის, ლევან ალაფიშვილისა და გიორგი აბაშიშვილის ინიციატივაზე, რომელიც ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხის ეფექტიან გადაჭრას ემსახურება.

მათი განცხადებით, სამთავრობო კომისიის ძირითადი ფუნქცია მთელი სვანეთის რეგიონის მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარმოება უნდა იყოს და ასევე ყველა იმ საკითხის ოპერატიული გადაწყვეტა, რომელიც ხუდონჰესის პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება.

თავად პრემიერ მინისტრს არაერთხელ აქვს დაფიქსირებული თავისი პოზიცია ხუდონჰესის უმნიშვნელოვანეს პროექტთან დაკავშირებით:

„დარწმუნებული ვარ, ინვესტორი კომპანია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა



პროცესი და განუმარტავს მოსახლეობას, თუ რას ითვალისწინებს ხუდონჰესის პროექტის მშენებლობა.“

„თავის მხრივ, მთავრობა და ენერჯეტიკის სამინისტრო დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას ამ პროექტის მნიშვნელობის შესახებ და მისი პერსპექტივების თაობაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ

პროექტმა ჩვენს ქვეყანას და ხალხს. ჩემი ინფორმაციით, ხუდონჰესის პროექტი ნამდვილად განსაზღვრავს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას.“ - აცხადებს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ხუდონჰესთან დაკავშირებით სამთავრობო კომისიის შექმნის შემთხვევაში მასში აქტიური მუშაობის მომხრეა სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელისუფლება, მათ შორის გუბერნატორი ლევან შონია და მესტიის გამგებელი კახა ჟორჟოლიანი, ასევე, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე.

„საჭიროება თუ იქნება, ჩავერთვეთ პროცესში და გავაკეთებ, რაც გასაკეთებელია. ჩემი რეგიონია და ჩემს ინტერესებშია ხუდონჰესის საკითხი. ხალხი ნორმალურ პირობებში უნდა ცხოვრობდეს და სამუშაო ჰქონდეს. არ იქნება ცუდი ასეთი კომისიის შექმნა, მით უმეტეს, თუ ის მოსახლეობასთან კომუნიკაციასაც შეუწყობს ხელს,“- განაცხადა ლევან შონიამ.

მესტიის გამგებელი კახა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ ხუდონჰესის პროექტი საკმაოდ ვრცელი თემაა და ამ საკითხზე მრავალმხრივი მუშაობაა საჭირო. მისი თქმით, სახელმწიფო დონეზე საკითხის შესწავლა ეფექტური იქნება.

„ეს იმდენად დიდი თემაა, რომ მთლიანად სახელმწიფო უნდა ჩერთოს მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხში. თუ სახელმწიფოს დასჭირდება, სიამოვნებით ჩავერთვეთ ასეთი ჯგუფის მუშაობაში. ინიციატივას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მზად ვარ ჩავერთო ყველა მოლაპარაკებაში, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობის საკითხს ეხება,“- განმარტა კახა ჟორჟოლიანი.

მსგავსი პოზიცია აქვს სამთავრობო კომისიის შექმნის საკითხზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს სოზარ სუბარს.

„რამდენადაც ვაკვირდები, ამ პროექტის განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობა ძალიან მაღალია. ენერგეტიკის სამინისტრო და მთავრობა მუდმივად გამოთქვამენ მზადყოფნას დიალოგისთვის. რაც შეეხება ახალი კომისიის შექმნას, მე არ ვარ იმდენად ჩახედული პროექტის დეტალებში, რომ მის საჭიროებაზე ვიმსჯელო. ალბათ ენერგეტიკის სამინისტრო უფრო კომპეტენტური იქნება პასუხის გაცემაში. პირადად მე რასაც ვხედავ, როგორც ამ კუთხის წარმომადგენელი, მთავრობის წევრი თუ საზოგადოების რიგითი წევრი, ძალიან აქტიურია საზოგადოების ჩართულობა, როგორც მოსახლეობის, ისე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების. კარგი იქნება თუ ამაში ექსპერტებიც ჩაერთვებიან,“- განუცხადა „გურია ნიუსს“ სოზარ სუბარმა.

მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი კი მიიჩნევს, რომ თუ პრემიერ-მინისტრი სპეციალური კომისიის შექმნას დათანხმდა, კომისია ქმედუნარიანი იქნება.

„თუ სამთავრობო დონეზე მოხდება კომისიის შექმნა და პრემიერის ხელდასმით, რა თქმა უნდა ქმედუნარიანი იქნება. ეს რიგითი კომისია ხომ არ არის? როცა კომისიაში მინისტრები შედიან, აუცილებლად ქმედუნარიანი იქნება,“- აცხადებს ვიქტორ ჯაფარიძე და განმარტავს, რომ თუ მისი ამომრჩევლები - ხაიშელები ინიციატივას მოიწონებენ, სამთავრობო კომისიაში ჩაერთვება.

სამთავრობო კომისიის შექმნის იდეა მოსწონს ხაიშის თემის რწმუნებულს, ოთარ ჭკადუასაც, რომელიც ხუდონჰესის პროექტის განხორციელების აქტიური მოწინააღმდეგეა.

„არ მგონია, პირადად მე ჩავერთო ამ კომისიის მუშაობაში, თუმცა, თუ ასეთი კომისია შეიქმნება და ნორმალურად იმუშავებენ, კი ბატონო, არც ხალხი იქნება წინააღმდეგი,“ - განმარტავს ოთარ ჭკადუა.

ექსპერტთა ოთხეულმა, ლევან კალანდაძემ, ირაკლი ლექვინაძემ, ლევან ალაფიშვილმა და გიორგი აბაშიშვილმა პრემიერ-მინისტრს ხუდონჰესთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის წინადადებით 4 მარტს მიმართეს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხუდონჰესთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანი იქნება სამთავრობო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში ენერგეტიკისა და ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა შევლენ მხარის მაჟორიტარი დეპუტატი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, მესტიის გამგებელი, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი.

„აღნიშნულმა ფორმატმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს და ეფექტური გახადოს კომუნიკაცია ხელისუფლებასა და მთლიანად სვანეთის, რეგიონის მოსახლეობას შორის, ასევე მნიშვნელოვნად გააადვილოს მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევა და ამავდროულად, მაქსიმალურად დააჩქაროს და მეტად ეფექტური გახადოს თავად პროექტის განხორციელების პროცესი,“ - განმარტავს ექსპერტთა ოთხეული.

ხუდონჰესთან დაკავშირებით სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის საკითხზე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, მოკლე ხანში გახდება ცნობილი.¹

აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერგოხიდის მეშვეობით ენერჯის გადაცემა 2014 წელს დაიწყება

სს Azerenergy-ს მმართველმა ეტიბარ პირვერდიევმა 5 მარტს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერგოხიდი, რომელიც 3 ქვეყანას შორის ელ.ენერჯის გაცვლას გულისხმობს, წელს დაიწყებს ელ.ენერჯის გადაცემას.

პირვერდიევის განცხადებით, მინგეჩაურიდან საქართველოს საზღვრამდე და საქართველოს ტერიტორიაზე გადამცემი ხაზები უკვე სრულ მზადყოფნაშია. სამუშაოები

¹ <http://presa.ge/new/?m=bp&AID=25310>

ამჟამად საქართველო-თურქეთის საზღვარზე მიმდინარეობს. „ვფიქრობ, რომ ეს ხაზი მალე ამოქმედდება,“ - აცხადებს პირვერდიევი.

Azerenergy-ს მმართველის განცხადებით, ენერჯის გაცვლა არ გამოიწვევს აზერბაიჯანში ელ.ენერჯის ტარიფის ზრდას, რადგანაც კომპანიას ამისთვის აზერბაიჯანის სატარიფო კომისიისთვის არ მიუმართავს.

აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერჯი-ს პროექტი თურქეთისთვის წლიურად 1 200 მგვტ.სთ. ელ.ენერჯის მიწოდებას გულისხმობს, საიდანაც ნახევარი საქართველოზე მოდის. საბოლოო ჯამში თურქეთმა ევროპას წლიურად 2 000 მგვტ.სთ. ელ.ენერჯია უნდა მიაწოდოს.²

რეგიონი

აზერბაიჯანში 10 წლის განმავლობაში 17 ელ.სადგური შევიდა ექსპლუატაციაში

კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა 2004-2008 და 2009-2013 წლებში მიმდინარე სახელწიფო პროგრამების განხორციელების შედეგებს და რომლის



ხელმძღვანელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი იყო, Azerenergy-ს (აზერბაიჯანის ელ.ენერჯის წარმოებისა და გადაცემის სახელმწიფო კომპანია) გენერალურმა დირექტორმა ეტიბარ პირვერდიევმა განაცხადა, რომ ბაქოში „შიმალის“ ელექტროსადგურზე მეორე კომბინირებული ციკლის ტურბინა 2014 წლის ბოლომდე შევა ექსპლუატაციაში.

² <http://en.trend.az/capital/energy/2249396.html>

„შიმალის“ სადგურის მეორე 409 მგვტ. დადგმული სიმძლავრის გაზოტურბინის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აზერონის ნახევარკუნძულის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში. ამჟამად სადგურზე მხოლოდ 400 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ტურბინა მუშაობს.

ამას გარდა, Azerenergy-ს მმართველმა აღნიშნა, რომ ლერიკისა და იარდიმილის რეგიონების სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით აშენდა 17 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგური.

„ბოლო 10 წლის განმავლობაში აზერბაიჯანში 17 ახალი ელექტროსადგური და 10 000 კმ. სიგრძის გადამცემი ხაზი შევიდა ექსპლუატაციაში. ამასთანავე, 1 500 ქვესადგურს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ამ სამუშაოების შედეგად, 2300 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრე შეიქმნა,“ - განაცხადა პირვერდიევმა.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის ნატიგ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანში ელ.ენერჯის გენერაციის ობიექტების ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 7 000 მგვტ.-ს გადააჭარბა.

აზერბაიჯანში ელ.ენერჯის მთავარი მწარმოებელი კომპანია Azerenergy-ა, რომელიც 500, 330, 220 და 110 კილოვოლტი სიმძლავრის მქონე 200 ქვესადგურს, ასევე 8 ჰიდროელექტროსადგურსა და 13 თბოსადგურს ფლობს.³

თურქეთსა და ირანს შორის ბუნებრივი აირის ფასზე სასამართლო 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდება

თურქული Sabah-ის ცნობით, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში თურქეთსა და ირანს შორის მოწოდებული ბუნებრივი აირის ფასის შესახებ დაწყებული პროცესი 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

მინისტრის განცხადებით, ანკარამ უკვე მეორეჯერ მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს იმის გამო, რომ ირანიდან თურქეთში ბუნებრივი აირის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობით არ ხდებოდა.

ილდიზმა ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო ამ საქმეს ცალკე განიხილავს.



³ <http://en.trend.az/capital/energy/2238862.html>

მინისტრის ცნობით, ირანის მიერ შეთავაზებული ფასი თურქეთისთვის ხელსაყრელი არ არის და მოქმედი ტარიფის პირობებში თურქეთს არ აწყობს ირანიდან ბუნებრივი აირის იმპორტის მოცულობის გაზრდა.

ანკარამ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის მარტში მიმართა.

ირანიდან თურქეთში წლიურად 10 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირის იმპორტის შესახებ ხელშეკრულება 1996 წელს გაფორმდა.

თურქეთის სახელმწიფო გაზსადენის კომპანია Botas-მა სხვადასხვა წყაროებიდან 2013 წელს 38.42 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირის, ხოლო 2012 წელს კი 43.09 მლრდ. კუბ. მ. ბუნებრივი აირის იმპორტი განახორციელა.

ბუნებრივი აირის ფასი ოფიციალურად არ გახმაურებულა, თუმცა თურქული მედიის ცნობით, ქვეყანა ირანს 1 000 კუბ.მ. ბუნებრივი აირში 490 აშშ დოლარს, ხოლო აზერბაიჯანს, რომლიდანაც ბუნებრივი აირს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (ბაქო-თბილისი-ერზრუმი) მეშვეობით იღებს, - 335 აშშ დოლარს უხდის. ქვეყანა 1000 კუბ.მ რუსულ ბუნებრივი აირში 425 აშშ დოლარს იხდის.

დადებული ხელშეკრულების თანახმად, თურქეთმა წლიურად ირანიდან - 10 მლრდ. კუბ.მ., რუსეთიდან - 20 მლრდ. კუბ.მ., ხოლო აზერბაიჯანიდან 6.6 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირის იმპორტი უნდა განახორციელოს.

თურქეთი ასევე ალჟირიდან და ნიგერიიდან ახდენს 4.4 და 1.2 მლრდ. კუბ.მ. გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტს.⁴

Petrovietnam-ი აზერბაიჯანისგან 3.5 მლრდ. ბარელ ნავთობს შეიძენს



ვიეტნამის ნავთობისა და გაზის ჯგუფის Petrovietnam-ის განცხადებაზე დაყრდნობით, Wall Street Journal-ი წერს, რომ 2014 წელს კომპანია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიისგან (SOCAR) დაახლოებით 3.5 მლრდ. ბარელ ნავთობს შეისყიდის.

კომპანიის განცხადების თანახმად, Petrovietnam-ი აზერბაიჯანულ ნედლეულ ნავთობს ვიეტნამური კომპანია Bach Ho-ს ნავთობს შეურევს და ვიეტნამის ერთადერთ ნავთობის გადადამამუშავებელ ქარხანა Dung Quat-ში დღიურად 130 000

ბარელ ნავთობს გადაამუშავებს.

Petrovietnam-ი SOCAR-ის ნავთობს 2014-2016 წლებში შეისყიდის.

⁴ <http://en.trend.az/capital/energy/2249828.html>

SOCAR-ი აზერბაიჯანში ნავთობის ერთადერთი მწარმოებელი კომპანიაა და იგი ასევე აზერბაიჯანში, საქართველოში, უკრაინაში, რუმინეთსა და შვეიცარიაში ავტოგასამართსადგურებსაც ფლობს.

უცხოელ პარტნიორებთან ერთად კომპანია ისეთ დიდ პროექტებში მონაწილეობს, როგორებიცაა კასპიის ზღვაში აზერი-ჩირაგ-გუნეშლის ნავთობსაბადოსა და შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის საბადოს განვითარების პროექტები.

SOCAR-ის მფლობელობაშია ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ქიმიური მრეწველობისა და ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო კომპანიები.

აზერბაიჯანმა 2013 წელს 43 მლნ. ტონა ნავთობი მოიპოვა.

აზერბაიჯანულ-ვიეტნამური ურთიერთთანამშრომლობა სწრაფი ტემპით ვითარდება.

აზერბაიჯანმა ვიეტნამში, ჰანოიში საელჩო ოფიციალურად 2013 წლის 16 დეკემბერს გახსნა.⁵

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

რუსეთი ნორვეგიასთან ახალ გადამცემ ხაზს აშენებს



რუსეთის ფედერალური ენერგო ქსელის კომპანია, რომელიც რუსეთის გაერთიანებული ელექტროგადამცემი სისტემის ოპერატორია, ნორვეგიასთან 250 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების გადამცემის ხაზის მშენებლობას გეგმავს. „ჰეჩენგას“ ენერგო ხიდი რუსეთისა და

ნორვეგიის ენერგოსისტემებს ერთმანეთთან დააკავშირებს. ამ პროექტის ფარგლებში რუსეთის ქალაქ ნიკელიდან და სკოგფოსიდან ნორვეგიის საზღვრამდე 132 კვ. ძაბვის ორჯაჭვა ქსელი აშენდება. დამატებით, რუსეთის რამდენიმე გადამცემი ხაზისა და ქვესადგურის განახლება და მოდერნიზება მოხდება.

ნორვეგიის ქსელის ოპერატორმა Statnett-მა სკოგფოსა და ვარანგერბოტნს შორის 132 კვ. ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა თითქმის დაასრულა. კომპანიის

⁵ http://www.azernews.az/oil_and_gas/64965.html

განცხადებით, ახალი ხაზი უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის დამატებითი სიმძლავრის შემოსვლასა და ენერჯის უსაფრთხო გაცვლას.

2011 წელს Statnett-ი კოლას ნახევარკუნძულიდან ნორვეგიის მიმართულებით გადამცემი ხაზის მშენებლობაზე რუსეთთან თანამშრომლობას აპირებდა, თუმცა ეს პროცესი ნორვეგიის ნავთობისა და ენერჯეტიკის სამინისტრომ შეაჩერა, რომლის აზრითაც რუსეთის ჩრდილოეთიდან ელ.ენერჯის იმპორტი კიდევ უფრო გაახანგრძლივებდა რუსეთის ერთ-ერთი უძველესი, „კოლას“ ატომური რეაქტორის სასიცოცხლო პერიოდს.

რუსეთი და ნორვეგია „ბალტიის ზღვის რეგიონის ენერჯო თანამშრომლობის“ (BASREC) ორგანიზაციის წევრები არიან. ორგანიზაცია 1998 წელს წევრი ქვეყნების ენერჯეტიკის მინისტრებისა და ევროკომისიის მიერ დაარსდა. ორგანიზაციის დანარჩენი წევრები არიან: შვედეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი.⁶

რუსეთი უკრაინას ბუნებრივ აირზე დაწესებულ შეღავათებს გაუუქმებს



Gazprom-ი მიმდინარე წლის აპრილიდან გააუქმებს უკრაინისთვის დაწესებულ შეღავათთან ტარიფს ბუნებრივ აირზე. აღნიშნულის შესახებ რუსული კონცერნის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა განაცხადა. ეს გადაწყვეტილება კომპანიამ იმის გამო მიიღო, რომ კიევი ვერ ახერხებს დავალიანების გადახდას.

მილერის თქმით, უკრაინულმა მხარემ Gazprom-ს აცნობა, რომ არ შეუძლია თებერვლისთვის დანახარჯების სრულად გადახდა. როგორც მილერმა აღნიშნა, უკრაინას რუსეთისადმი 1.529 მლრდ აშშ დოლარის დავალიანება დაუგროვდა მოხმარებული ბუნებრივი აირის გამო.

გარდა ამისა, როგორც რუსული გამოცემები წერენ, გასული წლის დავალიანებიდან უკრაინამ მხოლოდ ნახევარი დაფარა.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, დიმიტრი მედვედევმა ასეთ პირობებში უკრაინისთვის ბუნებრივი აირის საფასურზე შეღავათის გაუქმებას „აბსოლუტურად კანონზომიერი“ უწოდა.

⁶ <http://barentsobserver.com/en/energy/2014/03/russia-build-new-power-line-norway-05-03>

გუშინ, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენ იაცენიუკმა განაცხადა, რომ კიევი გამონახავს სახსრებს, რათა Gazprom-ს თებერვლის დავალიანება გაუსტუმროს.

უკრაინამ ბუნებრივი აირის ტარიფზე შეღავათი 2013 წლის ბოლოს, რუსეთ-უკრაინის პრეზიდენტების მოლაპარაკებების შედეგად მიიღო. შესაბამისად, უკრაინისთვის საწვავზე საფასური 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 268.5 აშშ დოლარით განისაზღვრა. შეღავათის დაწესებამდე, უკრაინა ათას კუბურ მეტრ რუსულ გაზში 400 აშშ დოლარს იხდიდა.⁷

„ყაზმუნაიგაზის“ ნავთობის რეზერვები 800 მლნ. ტონას აჭარბებს

„ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანიის „ყაზმუნაიგაზის“ დამტკიცებული ნავთობის რეზერვები 800 მილიონ ტონაზე მეტია“ - აცხადებს კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე საუატ მინზაიევი. მისი ინფორმაციით, 2013 წლის მონაცემებით, თხევადი ჰიდროკარბონების რეზერვები 811 მლნ. ტონას შეადგენდა. კომპანია არსებულ მაჩვენებლებზე გაჩერებას არ აპირებს და კასპის ზღვის შეღწეში ბურღვით სამუშაოებს კვლავ აგრძელებს.



2013 წელს გამოკვლევების მიზნით „ჟამბილის“ ოფშორული და „ურხტაუს“ 6000 მ. სიღრმის საბადოს ბურღვითი სამუშაოები დაიწყო. ნავთობის ახალი მარაგების აღმოჩენა სწორედ „ჟამბილ 1“-ის საბადოს გაბურღვის შედეგად მოხდა. მინზაიევის განცხადებით, 2013 წელს კომპანიის ჰიდროკარბონების რეზერვების კონსოლიდირებულმა ზრდამ 11.5 მლნ. ტონა შეადგინა. „ყაზმუნაიგაზის“ გეგმებში მოიაზრება „ატირაუს“, „მანგიშლაკის“, „დასავლეთ ყაზახეთისა“ და „აკტობეს“ რეგიონებში გამოკვლევითი სამუშაოების ჩატარება.⁸

⁷ <http://www.bpn.ge/biznesi/3281-rusethi-ukrainas-bunebriv-airze-datsesebul-sheghavathebs-gauuqmebs.html?lang=ka-GE>

⁸ <http://en.trend.az/capital/energy/2250760.html>

Gazprom-ი ევროპას გაზის მიწოდების შეწყვეტით ემუქრება

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერისა და ევროპელი ლიდერების მუქარაზე საპასუხოდ, რომელიც უკრაინაში განხორციელებული ინტერვენციების გამო რუსეთზე შესაძლო სანქციების დაწესებას გულისხმობს, Gazprom-ი ევროპისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით იმუქრება. ეს პროცესი შესაძლოა სავაჭრო ომის საფუძველი გახდეს.

რუსული კომპანიის განცხადებით, ისინი „სამხრეთ ნაკადის“ მსგავს ექსპორტზე ორიენტირებულ პროექტებში გააგრძელებენ ინვესტირებას და ასევე ხელს შეუწყობენ LNG-ის წარმოებასა და საექსპორტო მოცულობის ზრდას. აგრეთვე ევროპის მიწისქვეშა გაზის საცავებზე წვდომას გააძლიერებენ.



Gazprom-ისთვის უკრაინა „უიმედო კლიენტს“ წარმოადგენს. 1 მარტს კომპანიის სპიკერმა სერგეი კუპრიანოვმა განაცხადა, რომ Gazprom-მა შესაძლოა უკრაინას გაზზე ფასდაკლების პირობები გაუუქმოს, რადგან ქვეყნის დავალიანებამ უკვე 2 მლრდ. აშშ. დოლარს მიაღწია, რომელიც არა მარტო 2013 წლის, არამედ მიმდინარე წლის დავალიანებასაც მოიცავს.

Gazprom-ის მუქარებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომპანიის აქციებს, რომლის ღირებულება 3 იანვარს 15%-ით შემცირდა, ხოლო მომდევნო 2 საათის ინტერვალში კი 2.5%-იანი შემცირება განიცადა.

რა გახდა ამის მიზეზი?

ინვესტორებს აღარ სჯერათ, რომ Gazprom-ი უკრაინის გაზსადენის გარეშე შეძლებს ევროპის ბაზრებისთვის საწვავის სრული ოდენობით მიწოდებას და თუ კომპანიამ ვერ შეძლო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, ევროკავშირი გაზის მიწოდების შეწყვეტის სანაცვლოდ ჯარიმებს დააკისრებს.

ფაქტია, რომ Gazprom-ი წარმოადგენს მასიურ, რუსეთის უდიდეს და მსოფლიოს უმსხვილეს ბუნებრივი აირის მწარმოებელ კომპანიას. Gazprom-ი სახელმწიფო მმართველობის კომპანიაა და მას უჩვეულოდ ახლო კონტაქტები გააჩნია კრემლთან. ამას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ერთი პერიოდი Gazprom-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი იყო. და ბოლოს, რუსეთის ფედერალური საგადასახადო შემოსავლების 25% სწორედ Gazprom-ზე მოდის.

2009 წელს Gazprom-ის მიერ უკრაინისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეზღუდვამ ცივი ზამთრის პერიოდში სერიოზული დარტყმა მიაყენა ევროპის 18 ქვეყანას, რის შედეგადაც რუსეთის, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯი სერიოზულად შეილახა, რადგან მსგავსი სიტუაცია იყო 2006 წელსაც.

მას შემდეგ, რაც 3 მარტს ბრიტანეთის საგარეო მდივანმა უილიამ ჰაგმა უკრაინის მთავრობასთან მოლაპარაკებები აწარმოა, რუსეთის სახელწმიფო კომპანია Rosneft-მა ფინანსურ ბაზრებზე სერიოზული დარტყმა მიიღო, რომელსაც საბაზრო კაპიტალიზაცია 5 მლრდ. აშშ. დოლარით შეუმცირდა. ამ მოვლენის შედეგად ბრიტანულმა BP-მ, რომელიც Rosneft-ის 19.75%-ის მფლობელია, დაახლოებით 1 მლრდ. აშშ დოლარი დაკარგა. მსგავსი საბაზრო დანაკარგები განხორციელდა გერმანიის სააქციო ბაზარზე, რადგან სწორედ გერმანია წარმოადგენს ევროპაში რუსეთის ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს.⁹

Continental Wind Partners-ი სერბეთში ქარის სადგურის მშენებლობას იწყებს

280 მლნ. ევროს ღირებულების „ჩიბუკ 1“-ის ქარის სადგურის მშენებლობა კოვინის პროვინციის (სერბეთი) მახლობლად 2014 წლის ბოლოსათვის დაიწყება, თუმცა მანამდე ახალი ენერგეტიკული კანონი უნდა ამოქმედდეს.



ამერიკული კომპანია Continental Wind Partners-ის განცხადებით (CWP), რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ქარის სადგურებს ავითარებს, 142.5 მგვტ. სიმძლავრის ქარის სადგურის პროექტის შემდგომი განვითარება ძირითადად ახალი კანონმდებლობის ამოქმედებასა და სერბეთის ენერგო ხელშეკრულებების ახალ სტანდარტებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული.

CWP-მა და მისმა პარტნიორმა General Electric-მა (GE), რომელიც ტურბინების სახით კაპიტალურ ინვესტიციებს ახორციელებს, მშენებლობის პროცესისათვის ხელშეკრულებები ავსტრიულ PORR-სა და Elnos-ს შორის გააფორმეს. კომპანიები ასევე მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ სერბულ კომპანიებთანაც.

⁹ <http://oilprice.com/Energy/Natural-Gas/Gazprom-Threatens-to-Disrupt-Gas-Supplies-to-Europe.html>

აღნიშნული ქარის სადგური არის პირველი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ამერიკული OPIC-ი უბრუნდება მას შემდეგ, რაც მან სერბეთში ოპერირება შეწყვიტა. CWP-ის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ OPIC-ის დაბრუნება წახალისებს სხვა ამერიკელ ინვესტორებს სერბეთში ინვესტიციების განსახორციელებლად.¹⁰

ლიტვის დამოუკიდებელ ენერგო მიმწოდებლებს მოგება უმცირდებათ

ლიტვის ენერჯის მიწოდების ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესი კომპანიების მოგების შემცირებისა და იმპორტის შეზღუდვის გამო რთულ ვითარებაშია. ქვეყნის ელ.ენერჯის მიმწოდებელმა 16 კომპანიამ, რომლებიც ბიზნეს სექტორის 43%-ს აწვდის ელ.ენერჯიას და 46 080 კომერციული მომხმარებელი ყავს, კერძო მფლობელობაში არსებულ კომპანიებთან პირდაპირი ხელშეკრულებები გააფორმა.

„ელ.ენერჯის იმპორტის შეზღუდვის გამო, გასული წლის მესამე მეოთხედში ჩვენმა კომპანიამ 8 მლნ. აშშ. დოლარის ზარალი განიცადა. ამ შედეგმა ასევე უარყოფითად იმოქმედა 2013 წელს ბიზნეს ჯგუფის ეკონომიკურ აქტივობაზე“ - განაცხადა ბალტიის რეგიონში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მიმწოდებელმა Inter RAO Lietuva-ს გენერალურმა დირექტორმა ბალკიანუსმა. 2013 წელს კომპანიის მოგებამ 1.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 23.1 მლნ. აშშ. დოლარი იყო.

ამასთავანე, ხუთმა მიმწოდებელმა კომპანიამ დაკარგა მიწოდების ლიცენზია, რადგან ვერ მოახერხეს მომხმარებლების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება. შედეგად ბიზნეს მომხმარებლების 12%, რომლებმაც დამოუკიდებელი მიმწოდებლები არჩიეს, კვლავ იძულებული გახდნენ სახელმწიფო კომპანია LESTO-ზე გადაერთულიყვნენ, რომელსაც 25%-ით მეტი ფასი აქვს, ვიდრე სხვა მის კონკურენტებს.

ბაზრის ნახევრად ლიბერალიზაციის გამო, ქვეყნის მცირე ბიზნეს სექტორის ორ მესამედზე მეტმა ვერ შეძლო დამოუკიდებელ მიმწოდებლებზე მიერთება. „ამ პრობლემის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია თავისუფალი ენერგო ბაზრის შესახებ და ხშირ შემთხვევაში არ იციან თუ სად უნდა იყიდონ ჩვენ მიერ შეთავაზებულზე უფრო იაფი ენერჯია,“ - LESTO-ს წარმომადგენელმა განაცხადა.¹¹

¹⁰NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 703, 5 March 2014, Continental Wind Partners to start building Serbian wind farm in 2014

¹¹NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 703, 5 March 2014, Lithuania's independent power suppliers in decline

Gazprom-ს უკრაინასა და ევროპაში ამერიკული გაზით ჩაანაცვლებენ

რესპუბლიკური პარტიის გავლენიანმა კონგრესმენებმა პრეზიდენტ ობამას მოუწოდეს გააუქმოს ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი აირის(LNG) ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები და რუსულ გაზზე ამერიკის მოკავშირების დამოკიდებულება შეამციროს.

ამერიკული ტელეარხის Fox News-ის ცნობით, კონგრესმენები აცხადებენ, რომ რუსული გაზზე დამოკიდებულების შემცირებით დაიკლებს რუსეთის გავლენა ევროპის კონტინენტზე.




„ამის გაკეთება აუცილებელია ისე როგორც არასდროს“ - ხაზგასმით აღნიშნა რესპუბლიკელმა სენატორმა ჯიმ ინჰოუფმა სენატის თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე. ინჰოუფი აშშ-ს სენატის თავდაცვის კომიტეტში ყველაზე გავლენიანი რესპუბლიკელი სენატორია.

ამ პოზიციას მხარს უჭერს კონგრესის ქვედა პალატის სპიკერი ჯონ ბეინერი. „აშშ-მა არ უნდა დატოვოს თავისი ევროპელი მოკავშირეები რუსული გაზის ტყვეობაში. შეზღუდვების მოხსნა და ექსპორტის დაწყება, იქნება ნაბიჯი, რომელიც დემონსტრაციულად აჩვენებს ყველას, რომ აშშ ეხმარება თავის მოკავშირეებს.“ - განაცხადა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა.

სენატორი ჯონ ბარასო კი მიიჩნევს, რომ უკრაინისა და ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე რუსეთს რეგიონში მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს. „თუ პრეზიდენტ ობამას მართლაც სურს უკრაინას და მის ხალხს დაეხმაროს, ის მოიწონებს გაზის ექსპორტს ამ ქვეყანაში. ეს უკრაინას დაეხმარება დაძლიოს რუსეთის

ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება და თავი დააღწიოს ვლადიმერ პუტინის პოლიტიკურ მანიპულაციებს.“ - აღნიშნა სენატორმა ბარასომ.

წარმომადგენელთა პალატის ენერგეტიკისა და ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარის ფრედ აპტონის განცხადებით, „გათხევადებული ბუნებრივი აირის ექსპორტის გაფართოება რუსეთის გავლენას შეამცირებს და ამიტომ ჩვენი დიპლომატიური ამოცანაა, რომ სწრაფად ვიმოქმედოთ. კომიტეტი გააგრძელებს მუშაობას კანონპროექტებზე, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის ენერგომატარებლების იაფ ალტერნატივას შექმნის.“ აპტონის თქმით, ბიუროკრატიული შეზღუდვები უნდა გაუქმდეს, რათა ვაშინგტონმა რეგიონში რუსეთის გავლენასთან საბრძოლველად სრული არსენალი გამოიყენოს.



„ფიქალის გაზის რევოლუციის“ წყალობით 2009 წელს ამერიკამ პირველად გაუსწრო რუსეთს ბუნებრივი აირის მოპოვებაში და ექსპორტზეც კი დაიწყო მუშაობა. ამის გამო რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რუსული გაზის ექსპორტისა და ფასების პროგნოზი მნიშვნელოვნად შეამცირა. ამერიკის ხელისუფლებამ ბუნებრივ აირზე დაბალი ფასების შესანარჩუნებლად გაზის ექსპორტზე შეზღუდვები დააწესა, თუმცა უკრაინის მოვლენებმა პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა.

ფიქალის გაზმა რევოლუცია ამერიკის ნავთობბაზარზეც მოახდინა. აშშ-მა ნავთობის მსხვილი ექსპორტი უკვე დაიწყო და პროგნოზებით, 2017 წლისათვის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი გახდება.

ამერიკამ „ფიქალის გაზის“ ევროპაში დანერგვა და რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება უკრაინის კრიზისამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ჯერ

კიდევ შარშან რუმინეთმა განაცხადა, რომ ამერიკელებთან ერთად „ფიქალის გაზის“ მოპოვება დაიწყო. ბუქარესტმა ისიც განაცხადა, რომ ევროპაში Gazprom-ის მონოპოლიას დაანგრევდა.

ასევე შარშან, ამერიკელთა ინიციატივით, უკრაინამ Royal Dutch Shell-თან ფიქალის გაზის მოპოვების 10 მილიარდ დოლარიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს პროექტი უკრაინას საკუთარი გაზით ათეულობით წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ფიქალის გაზის მარაგი ევროპაში ყველაზე მსხვილ მარაგად არის შეფასებული. ანალოგიური პროექტი დაიწყო მეზობელ პოლონეთშიც.

ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ამერიკა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იყო კასპიის რეგიონის გაზის მოპოვებისა და ევროპაში ექსპორტის, Nabucco-სა და TANAP-ის პროექტების სულისჩამდგმელი.

ჰორიზონტალური ბურღვის და ქანების ჰიდრაულიკური გარღვევის ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა ე.წ. ფიქალის გაზის მოპოვება. საინტერესოა, რომ გაზის ამ მარაგს აქამდე არც კი განიხილავდნენ.

ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირება კი მოხდება ბუნებრივი აირის გათხევადების (LNG — liquefied natural gas) ტექნოლოგიით. LNG ტექნოლოგია ბუნებრივი აირის 600-ჯერ შეკუმშვის და შემდეგ ტანკერების, ავტო ან სარკინიგზო ცისტერნების მეშვეობით გადატანის საშუალებას იძლევა. ეს ტექნოლოგია სულ უფრო პოპულარული ხდება, რადგან 1000კმ-ზე და მეტ მანძილზე გადატანისას ტრანსპორტირების ხარჯები უფრო ნაკლებია ვიდრე ტრადიციული გაზსადენებით ტრანსპორტირებისას.¹²

ენერგეტიკის დაფინანსების წყაროები

მსოფლიო ენერგეტიკას მომავალ ორ დეკადაში ახალი ეკოლოგიური პროექტების განვითარებისა და არსებული ენერგონფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის დაახლოებით 37 ტრილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია სჭირდება. თურქეთის საინვესტიციო მოთხოვნაც კოლოსალურია. მან საკუთარი მზარდი ეკონომიკის დასაკმაყოფილებლად 130 მლრდ. აშშ დოლარი ინვესტიცია უნდა მოიზიდოს მომდევნო დეკადაში.

როგორი იქნება მომვალში დაფინანსების წყაროები, მაშინ როცა იკლებს შიდა დაფინანსება, სულ უფრო რთულდება საერთაშორისო კრედიტების მოპოვება და მსოფლიოს მრავალ ენერგეტიკულად მდიდარ რეგიონში დამაბული სიტუაციაა. ნავთობის სამნიშნა ფასები, აშშ-ს ენერგეტიკული აღზევება, განახლებადი ენერჯის

¹² <http://news.ge/ge/news/story/82076-gazproms-ukrainasa-da-evropashi-amerikuli-gazit-chaanatsvleben>

შეზღუდვები, კლიმატის ცვლილება, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ფუკუშიმას კატასტროფა - ყველა ამ ფაქტორმა თავისებურად იმოქმედა მსოფლიო ენერგო პოლიტიკაზე და ენერგო ბაზრებზე.

მსოფლიო ენერგო მოთხოვნისა და მიწოდების რუკა შეიცვალა. მოსალოდნელია, რომ ენერგიაზე მოთხოვნა 41%-ით გაიზრდება 2035 წლამდე. ნახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის წილები საერთო ენერგეტიკულ ბალანსში დაახლოებით 27% იქნება. დანარჩენი ნაწილი კი, განახლებადებზე და ატომურ ენერგიაზე მოვა. აშშ იკმაყოფილებს ენერგიაზე საკუთარ მოთხოვნას და დიდი საექსპორტო შესაძლებლობებიც გააჩნია. აზია



კი ენერგოტევადი ინდუსტრიის განვითარების გამო უდიდესი იმპორტიორი გახდება. მას კი ევროპა მიჰყვება უკან.

ჩვენ რეგიონში მასიური დაფინანსება რუსეთს სჭირდება. შარშან უცხოურმა ინვესტიციებმა 94 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია და მომავალშიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი


იქნება ახალი ინვესტიციები. ასევე დიდი ინვესტიციები იდება ჩვენი რეგიონის სამხრეთის ენერგო დერეფანში, TANAP-ისა და TAP-ის გაზსადენების მშენებლობის ფარგლებში. შაჰ დენიზი 2-ის და სამხრეთ კავკასიაში გასასვლელი მილსადენის მთლიანი საინვესტიციო ხარჯი 28 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწევს. აზერბაიჯანი თურქეთის უდიდესი ინვესტორი იქნება 2018 წლამდე.

მომავალში მსოფლიოს მრავალი დიდი ენერგეტიკული პროექტის განხორციელება მოუწევს, რომლებშიც შედის: თურქმენეთის გაზსადენები, სირიის ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება, თურქეთის ატომური ელექტროსადგურები, ახლად აღმოჩენილი ფიქალის საბადოების განვითარება.¹³

¹³ <http://www.hurriyetdailynews.com/how-and-where-to-source-fresh-funds-for-energy.aspx?pageID=238&nID=62557&NewsCatID=396>

შედლებს აშშ მსოფლიოს ენერგეტიკულ მართვას?

აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილმა გეოპოლიტიკური კრიზისი აიძულებს აშშ-ს ენერგეტიკა გამოიყენოს როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი. აშშ-ს ენერგეტიკის მდივანი აცხადებს, რომ ექსპორტის გაზრდით შეიქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილი და გაიზრდება ეკონომიკა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სულ უფრო მეტად იზრდება აშშ-ს ნავთობპროდუქტების ექსპორტი. ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის ცნობით, 2013 წლის დეკემბერში აშშ-ს ნავთობპროდუქტების ექსპორტმა დღეში 4.3



მილიონი ბარელი შეადგნა. ეს იყო პირველი შემთხვევა როდესაც ამ მაჩვენებელმა 4 მილიონ ბარელს გადააჭარბა. ამჟამად აშშ თითქმის ყველა ნავთობპროდუქტის ექსპორტიორია, მაგრამ ნედლი ნავთობის ექსპორტი შეზღუდულია და მას ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ექსპორტის ემზარგო ადევს.

აშშ-ს ნავთობის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ექსპორტის შეზღუდვის მოხსნით, გაიზრდება ეკონომიკის სტიმულირება და აშშ დღეში დამატებით 500 000 ბარელი ნავთობის წარმოებას შეძლებს. სენატორ ლიზა მურკოვსკიმ, რომელიც სენატის ენერგეტიკული კომიტეტის წევრია, განაცხადა, რომ ნავთობის ექსპორტის ზრდა გააძლიერებს აშშ-ს გავლენას. მანვე აღნიშნა, რომ ექსპორტის ზრდა იქნება აშშ-ს მსოფლიო ენერჯის უპირველეს წყაროდ გადაქცევის წინაპირობა. ენერგეტიკის ექსპერტების აზრით აშშ-ს აქვს იმის პოტენციალი, რომ ჩაანაცვლოს რუსეთის გაზი ევროპაში თავისი თხევადი ბუნებრივი აირით (თბა).

„რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად უკრაინის წინააღმდეგ, გაჩნდა საფრთხე იმისა რომ აშშ-ს პარტნირი ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში აღმოჩნდებიან რუსეთის, კერძოდ კი ვლადიმერ პუტინის გავლენის ქვეშ და საფრთხე დაემუქრება მათ სუვერენიტეტს. ამ ვითარებაში აშშ-ის ფედერალურმა მთავრობამ და ენერგეტიკულმა დეპარტამენტმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და დაიწყონ გზების მოძიება, რათა ჩაანაცვლონ რუსული გაზი ევროპაში,“ - აღნიშნავენ დასავლელი ექსპერტები და პოლიტოლოგები.

თბა-ს აშშ-დან ევროპაში ექსპორტის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებია, რომელიც არცერთ ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან არ არის გაფორმებული, თუმცა ანალიტიკოსების აზრით, აშშ და ევროპა თბა-ს ტრანსპორტირებაზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გარეშე უნდა შეჯერდნენ, რადგან ამკარაა, რომ აშშ-ს ბოლოდროინდელი წარმატებები ენერგეტიკაში და ასევე ევროპის ქვეყნებში არსებული ფიქალის გაზის მარაგები საკმარის საფუძველს ქმნის, რომ ევროპამ უარი თქვას რუსულ გაზზე.¹⁴

¹⁴ <http://oilprice.com/Energy/Energy-General/Can-the-United-States-Rule-the-Energy-World.html>